პოზიციის დოკუმენტი

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას
გეორგიკა

მიგრანტი მშობლების ბავშვები საქართველოში - კვლევითი მიგნებები და რეკომენდაციები

2026

წინამდებარე ანგარიში მომზადდა საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit GmbH) გლობალური პროგრამის - „განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის მხარდაჭერა“ დაკვეთით, პროექტის - „ემიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფი ბავშვებისა (LBC) და ოჯახების გაძლიერება საქართველოში“-პროექტის ფარგლებში.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა, ის შესაძლოა არ გამოხატავდეს GIZ-ის შეხედულებებს.

მარტი, 2026
თბილისი, საქართველო

წინათქმა

მაია ნასრაშვილი

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა, პრეზიდენტი

როდესაც კვლევის პირველადი შედეგების გაცნობის შესაძლებლობა მომეცა, ფოკუს ჯგუფების შეხვედრიდან ერთ-ერთი ფრაზა - „რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიცოდი, რომ მე დედა მაინც არ დამიძახებდა“ - სამუდამოდ დარჩა ჩემსა და კივიტას გეორგიკას გუნდის ყველა წევრის გულში.

შრომითი მიგრაცია თანამედროვე საქართველოს სოციალური და ეკონომიკური რეალობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ბოლო ათწლეულებში ათასობით მოქალაქემ დატოვა ქვეყანა სამუშაოს საძიებლად, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრანსნაციონალური ოჯახების რაოდენობა. ამ პროცესს მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგები აქვს, თუმცა იგი ასევე ქმნის რთულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ გამოწვევებს, განსაკუთრებით იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მშობლების გარეშე რჩებიან სამშობლოში.

მიგრანტი მშობლების შვილები ხშირად წარმოადგენენ უხილავ ჯგუფს საჯარო პოლიტიკისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის სისტემებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ მიეკუთვნებიან ტრადიციულად მოწყვლად ჯგუფებს, მათი ყოველდღიური გამოცდილება ხშირად დაკავშირებულია ემოციურ დანაკარგთან, პასუხისმგებლობების ნაადრევ აღებასთან, ოჯახის სტრუქტურის ცვლილებასთან და მხარდაჭერის სისტემების დეფიციტთან.

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა ბოლო წლებში აქტიურად მუშაობს ამ თემის შესწავლასა და პრობლემის საჯარო დღის წესრიგში წამოწევაზე. მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების შესახებ დემოგრაფიული მონაცემების შეგროვებისა და მათი გამოცდილებების, საჭიროებებისა და წინაშე არსებული გამოწვევების შესწავლის მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit – GIZ) გლობალური პროგრამის „განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის მხარდაჭერა“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ორი პროექტი:

I – „ემიგრანტი მშობლების სამშობლოში მყოფი ბავშვებისა (LBC) და ოჯახების გაძლიერება საქართველოში“

II – „გაერთიანება მიგრანტი მშობლების შვილების მხარდასაჭერად (UNIT LBC)”

პროექტების ფარგლებში ჩატარებული ორი ფართომასშტაბიანი კვლევა მთლიანობაში მიზნად ისახავდა:

- საქართველოში მიგრანტი მშობლების შვილების მდგომარეობის შესწავლას;
- მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას;
- არსებული ინსტიტუციური მექანიზმების შეფასებას;
- პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევები ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცემებს, რაც საშუალებას იძლევა ბავშვების გამოცდილება შეფასდეს არა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების, არამედ მათი პირადი ისტორიებისა და სოციალური გარემოს სისტემური ანალიზის საფუძველზე.

ორივე კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ მიგრანტი მშობლების შვილები საქართველოში წარმოადგენენ მაღალი რისკის ჯგუფს, რომლის პრობლემები ხშირად შეუმჩნეველი რჩება პოლიტიკის დონეზე.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია როგორც კვლევის შედეგების ერთიანად თავმოყრა, ასევე ბოლო ორი წლის განმავლობაში კვლევასთან პარალელურად განხორციელებული საქმიანობის მოკლე შეჯამება. შესაბამისად, დოკუმენტი ასევე მიმოიხილავს იმ კარგ პრაქტიკებს, რომელთა განვითარება და პილოტირება შესაძლებელი გახდა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.

კვლევის მიგნებებისა და განხორციელებული პრაქტიკული გამოცდილების ერთობლივი ანალიზი საშუალებას იძლევა უკეთ გამოიკვეთოს როგორც ბავშვების წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები, ისე ის მიდგომები, რომლებიც მომავალში შეიძლება იქცეს ეფექტიანი მხარდაჭერის მოდელად.

ამგვარად, წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს:

- ორი კვლევის ძირითადი მიგნებების ანალიზს;
- განხორციელებული პრაქტიკული აქტივობების მოკლე მიმოხილვას;
- სისტემური პრობლემების იდენტიფიცირებას;
- პოლიტიკის რეკომენდაციების წარმოდგენას.

დოკუმენტი განკუთვნილია პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის, განათლებისა და სოციალური სფეროს პროფესიონალებისთვის, მკვლევრებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ ბავშვთა უფლებების დაცვისა და ოჯახების მხარდაჭერის მიმართულებით.

მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ორგანიზაციისა და პირის მიმართ, ვინც შემოქმედებითად, გულწრფელად და პროფესიონალურად მოეკიდა ამ კვლევის განხორციელებას – განსაკუთრებით მკვლევრების, ჩვენი პარტნიორების, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და, უპირველეს ყოვლისა, იმ ბავშვებისა და ოჯახების მიმართ, რომლებმაც გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილებები.

მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების მდგომარეობა არ არის მხოლოდ სოციალური კეთილდღეობის საკითხი. იგი წარმოადგენს ბავშვთა უფლებების, განათლების სისტემის, სოციალური დაცვის და ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

ამიტომაც, მიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ინდივიდუალური დახმარების კონტექსტში, არამედ როგორც სისტემური პოლიტიკის მიმართულება, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობების, საგანმანათლებლო სისტემის და სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებულ მოქმედებას.

პატივისცემითა და მადლიერებით,

შესავალი

I

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, გლობალიზაციის, დეკოლონიზაციისა და ტრანსნაციონალური მობილობის ზრდასთან ერთად, აქტიურად ვითარდება საერთაშორისო მიგრაციის, მათ შორის შრომითი მიგრაციის, კვლევები. ამ კვლევებში ყურადღება ეთმობა მიგრაციის გამომწვევ მიზეზებსა და თანმხლებ პროცესებს, როგორიცაა ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია, დიასპორების ჩამოყალიბება, მიგრაციის ფემინიზაცია, იდენტობის ფორმაცია და ტრანსფორმაცია, ფულადი გზავნილები და სხვა.[1]

თუმცა სამშობლოში დარჩენილი ბავშვების (*left-behind children*) ფენომენი მიგრაციის კვლევებში შედარებით გვიან გამოჩნდა და ამ მიმართულებით ცოდნა ჯერ კიდევ შეზღუდულია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა კვლევების დეფიციტი ზოგიერთ რეგიონში. თუ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში ამ თემაზე კვლევები შედარებით ხშირია, სხვა რეგიონებში ცოდნის ნაკლებობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სოციალურ საკითხთა, ჯანმრთელობისა და მდგრადი განვითარების კომიტეტმა 2020 წელს შეიმუშავა რეზოლუცია[2] – „შრომითი მიგრაციის გავლენა ემიგრანტების ბავშვებზე“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სიღარიბით გამოწვეულ შრომით მიგრაციას ხშირად მძიმე გავლენა აქვს სამშობლოში დარჩენილ ბავშვებზე. ისინი შეიძლება მოკლებულნი იყვნენ სათანადო ზრუნვას, დაცვასა და მხარდაჭერას, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში ამ ფენომენის მასშტაბი საგანგაშოა. მიუხედავად ამისა, სამშობლოში დარჩენილი ბავშვები ხშირად უხილავი რჩებიან როგორც საჯარო დისკურსში, ისე პოლიტიკის ფორმირების პროცესში. დამატებით პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ბევრი ქვეყანა ამ ჯგუფზე სისტემურ სტატისტიკას არ აწარმოებს, რაც ართულებს მათ საჭიროებებზე ეფექტიან რეაგირებას.

მიუხედავად მიგრაციული პროცესების ზრდისა, მიგრაციის კვლევა საქართველოშიც შედარებით მწირი და ფრაგმენტულია, ხოლო სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების კვლევა კიდევ უფრო შეზღუდულია. როგორც მკვლევარი ვანორე აღნიშნავს, მიგრაცია არ არის მხოლოდ მიგრანტების გამოცდილება – იგი ასევე ეხება მათაც, ვინც სამშობლოში რჩება. ტრანსნაციონალურ ოჯახებში ცხოვრება ხშირად ნიშნავს „ცხოვრებას იძულებით მონატრებაში“. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად გაამარტივა კომუნიკაცია და შესაძლებელი გახადა ტრანსნაციონალური

[1] ICMPD (2023).
[2] Council of Europe Parliamentary Assembly (2020).

ოჯახების ვირტუალური თანაცხოვრება, მშობლის მიგრაცია მაინც იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბავშვების ცხოვრებაში, რაც საფრთხეს უქმნის მათ ემოციურ და სოციალურ კეთილდღეობას და აფერხებს მათი უფლებების სრულყოფილ რეალიზაციას.

მშობლისგან განცალკევება ბავშვებისთვის ხშირად მძიმე ემოციურ გამოცდილებას წარმოადგენს და შეიძლება უარყოფითად აისახოს მათი განვითარების, სოციალიზაციისა და საგანმანათლებლო პროცესებზე. ამიტომ ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ დროებითი ღონისძიებებით შეუძლებელია. შრომითი მიგრაციის სარგებლის მაქსიმალურად გაზრდისა და მისი შესაძლო ნეგატიური შედეგების შემცირების მიზნით, საჭიროა ჰოლისტური მიდგომები, რომლებიც ფოკუსირდება ბავშვთა უფლებებზე, კეთილდღეობაზე და ოჯახების მხარდაჭერაზე, იქნება გენდერულად სენსიტიური და სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი.[3]

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას მიერ განხორციელებული ორივე კვლევა სწორედ ამ ცოდნის დეფიციტის შევსების მცდელობას წარმოადგენს. კვლევები მიზნად ისახავს სამშობლოში დარჩენილი ბავშვების შესახებ მონაცემების შეგროვებას, მათი საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას და ისეთი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ისე უფრო ეფექტიანი სოციალური და საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარებას საქართველოში.

რეკომენდებული ტერმინოლოგია
რეკომენდებულია ტერმინის - **„მიგრანტი მშობლის შვილი“** გამოყენება. აღნიშნული ფორმულირება უფრო ნეიტრალურია და თავიდან აცილებს სტიგმატიზაციას, რადგან არ შეიცავს „დატოვების“ ან მიტოვების კონოტაციას. შესაბამისად, იგი ამცირებს მშობლების მიმართ დანაშაულის განცდისა და სოციალური სტიგმის გაძლიერების რისკს და უკეთ ასახავს ტრანსნაციონალური ოჯახის რეალობას.

1. მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას მიერ განხორციელებულ ორ ურთიერთდაკავშირებულ კვლევას, რომლებშიც გამოყენებული იყო შერეული კვლევითი მიდგომა. მეთოდოლოგია აერთიანებდა რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, ასევე საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციასა და საჯაროდ ხელმისაწვდომ სტატისტიკურ მონაცემებს. ამგვარმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა როგორც სამშობლოში დარჩენილი ბავშვების შესახებ დემოგრაფიული და ინსტიტუციური სურათის დანახვა, ისე მათი გამოცდილებების, საჭიროებებისა და გამოწვევების სიღრმისეულად გააზრება.

[3] Badea (2020).

კვლევები ჩატარდა 2025-2026 წლებში და მოიცავს 2024-2026 წლის მონაცემებს.

პირველი კვლევის ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრივი გამოკითხვა საქართველოს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში. გამოკითხვა მოიცავდა EMIS[4]-ში რეგისტრირებულ ყველა საჯარო ბაღს, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა, და განხორციელდა თვითადმინისტრირებული ონლაინ კითხვარის საშუალებით 2024 წლის მაისიდან ოქტომბრამდე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო **1,030** საჯარო ბაღის ადმინისტრაციამ, რაც გენერალური ერთობლიობის დაახლოებით **60%-ს** შეადგენდა. კითხვარი იკვლევდა ბავშვების დემოგრაფიულ მახასიათებლებს, მზრუნველობის პრაქტიკებს, ემოციურ და ქცევით თავისებურებებს, საგანმანათლებლო საჭიროებებს და დაწესებულებების რეაგირების შესაძლებლობებს. რაოდენობრივი მონაცემები გაანალიზდა აღწერითი სტატისტიკის მეთოდებით და შეწონილი იყო რეგიონებისა და თბილისში რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით.

ორივე კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო თვისებრივ კომპონენტს, რომელმაც შესაძლებელი გახადა სამშობლოში დარჩენილი ბავშვების, მათი მეურვეების, მიგრანტი მშობლების, პედაგოგებისა და სხვა პროფესიული ჯგუფების გამოცდილებების სიღრმისეული შესწავლა. პირველ კვლევაში განხორციელდა **21 სიღრმისეული ინტერვიუ და 9 ფოკუს ჯგუფი**, ხოლო მეორე კვლევა სრულად დაეფუძნა თვისებრივ დიზაინს და მოიცავდა **45 სიღრმისეულ ინტერვიუს ბავშვებთან, მეურვეებთან და სკოლის პერსონალთან.** კვლევაში მონაწილეობდნენ როგორც ურბანული, ისე სოფლის არეალებიდან შერჩეული რესპონდენტები, განსაკუთრებით იმ რეგიონებიდან, სადაც შრომითი მიგრაციის მაჩვენებელი შედარებით მაღალია.

> თვისებრივი კვლევა ეფუძნებოდა **ბავშვზე ორიენტირებულ და ეთიკურად სენსიტიურ მიდგომას.** ბავშვებთან ინტერვიუები ტარდებოდა ინფორმირებული თანხმობის პირობებში, ხოლო არასრულწლოვანთა შემთხვევაში წინასწარ უზრუნველყოფილი იყო კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა. ინტერვიუები ჩატარდა როგორც პირისპირ, ისე ონლაინ ფორმატში, ნახევრადსტრუქტურირებული ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევდა თავისუფლად ესაუბრათ საკუთარ გამოცდილებებზე.

დამატებით, კვლევის ფარგლებში გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან, მათ შორის პროკურატურიდან, სახალხო დამცველის აპარატიდან, განათლების უწყებებიდან და სოციალური მომსახურების სისტემიდან. თუმცა, მონაცემთა ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო, ხოლო მიღებული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ იყო სრულად სეგრეგირებული ასაკის, სქესის ან მშობლის მიგრაციული სტატუსის მიხედვით, რაც თავადაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მიგნებას არსებული ინსტიტუციური ხარვეზების შესახებ.

რაოდენობრივი მონაცემები გაანალიზდა აღწერითი სტატისტიკის მეთოდებით, ხოლო თვისებრივი მონაცემების დამუშავება განხორციელდა თემატური ანალიზის საფუძველზე. ანალიზში გამოყენებული იყო ტრიანგულაციის პრინციპი, რაც შესაძლებელს ხდიდა ბავშვების, მეურვეების, მიგრანტი მშობლების, პედაგოგებისა და სხვა

[4] განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

პროფესიული ჯგუფების პერსპექტივების ერთმანეთთან შედარებას და კომპლექსური სურათის ჩამოყალიბებას.

კვლევის შედეგების სანდოობის გასაძლიერებლად, მიღებული მიგნებები და რეკომენდაციები განხილულ იქნა ვალიდაციის სამუშაო შეხვედრებზე სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, განათლების სექტორის წარმომადგენლებისა და დარგის ექსპერტების მონაწილეობით. მათი უკუკავშირი ინტეგრირებულია საბოლოო ანალიზში.

კვლევას ჰქონდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა. პირველ რიგში, რაოდენობრივი კომპონენტი ვერ მოიცავდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, რადგან შესაბამისი ნებართვა ვერ იქნა მიღებული, რის გამოც რაოდენობრივი მონაცემები ძირითადად სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესახებ არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში ბაღების ადმინისტრაციებს არ ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია ბავშვების მშობლის მიგრაციული მდგომარეობის შესახებ, ხოლო ემოციური და ქცევითი ნიშნების შეფასება მნიშვნელოვნად ეფუძნებოდა პერსონალის დაკვირვებებს. თვისებრივი კვლევის ფარგლებში კი გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთმა ბავშვმა უარი თქვა მონაწილეობაზე ემოციური სირთულეების გამო, ხოლო რამდენიმე ინტერვიუში მეურვის დასწრებამ შესაძლოა გავლენა მოეხდინა პასუხების გულწრფელობაზე.

საერთო ჯამში, შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა საკითხის როგორც მასშტაბის, ისე სიღრმისეული სოციალური, ემოციური და ინსტიტუციური განზომილებების დანახვა, რაც ქმნის მყარ საფუძველს მიგრანტი მშობლების შვილების მხარდამჭერი პოლიტიკისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარებისთვის საქართველოში.

მიგრანტი მშობლების შვილების დემოგრაფიული მახასიათებლები და მშობლების მიგრაციული პროფილი



საქართველოში რეგისტრირებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2023-2024 სასწავლო წელს დაწესებულებებში რეგისტრირებული ბავშვების 4 პროცენტის ერთი ან ორივე მშობელი იმყოფება შრომით ემიგრაციაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი წარმომადგენლობითია სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის, მონაცემების ინტერპრეტირებისას გასათვალისწინებელია სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის საკითხი. 2021-2022 სასწავლო წლის მონაცემებით, სკოლამდელი ასაკის ბავშვების 28% არ დადიოდა ბაღში, რისი მიზეზიც იყო როგორც ოჯახის არჩევანი, ისე სხვადასხვა ხელშემშლელი ფაქტორი.[5] ამ მიმართულებით მონაცემების ნაკლებობა

[5] საქსტატი და გაეროს ბავშვთა ფონდი.



წლების მიხედვით შედარების საშუალებას არ გვაძლევს, თუმცა სავარაუდოა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების სრული უმრავლესობა არც 2023-2024 წლებში იქნებოდა წარმოდგენილი საჯარო ბაღებში.

სამშობლოში დარჩენილი ბაღის ასაკის ბავშვების 42% გოგოა, 45% ბიჭი, 13 პროცენტის შესახებ კი ინფორმაცია ვერ შეგროვდა. შრომით ემიგრაციაშია ორივე მშობელი ბავშვების 8 პროცენტის შემთხვევაში, მხოლოდ დედაა ემიგრაციაში ბავშვების 17 პროცენტის შემთხვევაში, ხოლო მხოლოდ მამაა ემიგრაციაში - 71 პროცენტის შემთხვევაში. აქედან, ბავშვების ერთი პროცენტის შემთხვევაში, ემიგრაციაშია ერთადერთი მშობელი, ბავშვების 4 პროცენტის შემთხვევაში კი მშობლის მიგრაციული გამოცდილების შესახებ ინფორმაცია ვერ შეგროვდა (დიაგრამა 1).



რეგიონების მიხედვით, სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ყველაზე დიდი წილი 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოდის სამცხე-ჯავახეთზე (17%), შემდეგ იმერეთზე (6%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (6%) და კახეთზე (5%). თბილისსა და სხვა რეგიონებში კი მიგრანტთა შვილების წილი დაახლოებით თანაბარია (ორიდან სამ პროცენტამდე) (დიაგრამა 2).



დიაგრამა 2: სამშობლოში დარჩენილი ბავშვების წილი 2023-2024 სასწავლო წელს დაწესებულებებში რეგისტრირებულ ბავშვებში, რეგიონების მიხედვით (%)

2.1. მიგრანტი მშობლების შვილების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა

ორივე კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა, სოციალურმა მუშაკებმა, მიგრანტმა მშობლებმა, მეურვეებმა/აღმზრდელებმა, და რაც მთავარია, თავად ბავშვებმა შეაფასეს მშობლის მიგრაციის პირობებში ისეთი ფსიქო-ემოციური გამოვლინებები, როგორებიცაა მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა, სტრესი და შფოთვა, აგრესიის განცდა და აგრესიული ქცევა, ქცევითი აშლილობები, და სხვა. რესპონდენტების თქმით, მშობლისგან ხანგრძლივი განცალკევება ბავშვებისთვის მძიმე გამოცდილებაა, რომელიც გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ქცევასა და სოციალურ ურთიერთობებზე.

თვითდამაზიანებელი ქცევა, სუიციდური ფიქრები და მცდელობები

მშობლის მიგრაციით გამოწვეული ემოციური სირთულეები ზოგ შემთხვევაში უკავშირდება თვითდამაზიანებელ ქცევას, სუიციდურ ფიქრებსა და თვითმკვლელობის მცდელობებსაც. რესპონდენტები იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც ბავშვების ფსიქიკური მდგომარეობა მშობლის ემიგრაციის შემდეგ მნიშვნელოვნად დამძიმდა და მათ თვითმკვლელობის მცდელობაც კი ჰქონდათ. მსგავს შემთხვევებზე საუბრობენ სკოლების დირექტორებიც, რომლებიც ამას ხშირად მშობლის ყურადღების მიქცევის უკიდურეს ფორმად აფასებენ, რაც, მათ შორის, მიუთითებს დირექტორების მხრიდან ბავშვის ფსიქო-ემოცირი მდგომარეობის შესახებ ინფრომირებლობის სიმწირეზე.

კვლევის ფარგლებში ბავშვებთან ინტერვიუები ჩაატარა ბავშვთა ფსიქოლოგმა ივანე საათაშვილმა, წინასწარ შემუშავებული, მაღალი მგრძნობელობისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული კითხვარის გამოყენებით. ერთ-ერთ შემთხვევაში ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა ბავშვის მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და თვითდამაზიანებელი ქცევის ნიშნები.

„ნევროზული რაღაც მჭირს და მარტივად ვღიზიანდები. ბავშვობიდან მოდის ეს, მაგრამ რაც დედა წავიდა უფრო გამძაფრდა. ამიტომ მირჩევნია სახლში ვიყო. როცა გაღიზიანებული ვარ ან ყველაფერს ვამტვრევ, ან ვტირი ან საკუთარ თავზე გადამაქვს [თვითდამაზიანებელი ქცევა]. სკოლაში უფრო ჩემს თავს ვეუბნები რომ დავმშვიდდე და უფრო ტირილი მეწყება. ბოლო ორ თვეში 4-5 ჯერ დამემართა ასეთი ემოციური სიმძიმე“, **სამშობლოში დარჩენილი ბავშვი, გოგო, 17 წლის.**

ივანე საათაშვილი, ბავშვთა ფსიქოლოგი	*„დასაწყისშივე მივხვდი ბავშვის მძიმე ემოციური მდგომარეობის შესახებ და ამოვიცანი თვითდამაზიანებელი ქცევის ნიშნები. ინტერვიუს დასრულებისთანავე შევატყობინე კივიტას გეორგიკას ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს. ავამოქმედეთ კანონმდებლობით დადგენილი რეფერირების პროცედურა და პარალელურად დავიწყეთ ბავშვისთვის ფსიქიატრისა და ფსიქოთერაპევტის მოძიება. „კივიტასმა“ უზრუნველყო ბავშვის ტრანსპორტირება რეგიონიდან ყველა წესის დაცვით და სრული სერვისის მიწოდება. ძალიან მალე ბავშვის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, მხარდაჭერა დაახლოებით ერთი წელი გაგრძელდა და ახლა მისი მდგომარეობა ძალიან კარგია.*

მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა, სტრესი და შფოთვა



საბავშვო ბაღის აღმზრდელების დაკვირვებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებში მელანქოლიის, სევდისა და მარტოობის განცდა, სტრესი და შფოთვა თანატოლებთან შედარებით უფრო მაღალია 38%-ში, ხოლო 38%-ში მსგავსად ვლინდება. უფრო იშვიათია შემთხვევები, როდესაც აღნიშნული განცდები ნაკლებად ფიქსირდება (6%), ხოლო 18%-ში აღმზრდელებს გაუჭირდათ ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შეფასება.

ემოციური სირთულეების გამოვლენა სხვადასხვაგვარია: ბავშვები ყველაზე ხშირად საუბრობენ მშობლების მონატრებაზე (60%), არიან მოწყენილნი ან ტირიან (34%), ჩაკეტილები და ნაკლებად ურთიერთობენ თანატოლებთან (15%). ასევე ფიქსირდება შფოთვა (11%) და ჰიპერაქტიურობა (10%), ხოლო იშვიათად – ძილისა და კვების დარღვევები ან მოტივაციის ნაკლებობა აქტივობებში ჩართვის მიმართ.

ბავშვები ხშირად საუბრობენ ძლიერ მონატრებაზე, სევდაზე და მუდმივ მოლოდინში ცხოვრებაზე. მატერიალური კეთილდღეობის არგუმენტი ვერ ანაცვლებს მშობლის სიახლოვის და ემოციური ზრუნვის საჭიროებას.

აგრესიის გამოვლინება და ქცევითი სირთულეები



აგრესიის შემთხვევები შედარებით იშვიათად სახელდება. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელების დაკვირვებით, მიგრანტი მშობლების სამშობლოში დარჩენილ ბავშვებში აგრესია თანატოლებთან შედარებით უფრო მაღალია მხოლოდ 18%-ში, უმეტეს შემთხვევაში კი თანატოლების მსგავსად ვლინდება (54%). შედარებით იშვიათია შემთხვევები, როდესაც აგრესია ნაკლებად ფიქსირდება (7%), ხოლო 21%-ში აღმზრდელებს გაუჭირდათ მისი განსაზღვრა.

აგრესია ძირითადად ვლინდება ადვილად გაღიზიანებადობით (72%). ასევე ფიქსირდება თანატოლების მიმართ ფიზიკური (18%) ან სიტყვიერი შეურაცხყოფა და ბულინგი (14%), ხოლო უფრო იშვიათად – მსგავსი ქცევა აღმზრდელების მიმართ (8%) ან დაწესებულების ინფრასტრუქტურის დაზიანება (5%).

“	დაბრუნებული ემიგრანტი მშობელი, ქალი, ერთი შვილის დედა	*„მე დამირეკა სკოლიდან მისმა დამრიგებელმა და მითხრა, რომ რვა მარტს გაკეთებული რაღაც ნახატები გააკეთებინა ხელოვნების მასწავლებელმა და ჩემდა სამწუხაროდ ჩემმა შვილმა რამდენიმე ბავშვის ნახატი დააზიანა, იმიტომ, რომ იმას დედისთვის მიჰქონდა სახლში. ამას კი ვერ აცნობიერებდა მაგ დროს, მაგრამ ეს მისი პროტესტი იყო.*

განმარტოების სურვილი, გულჩათხრობილობა და მარტოობა

ჩაკეტილობა და განმარტოება	კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მშობლის ემიგრაციის შემდეგ ბავშვები ხშირად ხდებიან გულჩათხრობილები, ამცირებენ კომუნიკაციას და ცდილობენ რეალობისგან დისტანცირებას.
სოციალური ურთიერთობების შემცირება	ბავშვებს უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობა და ნაკლებად ერთვებიან საერთო აქტივობებში, რაც უარყოფითად აისახება მათ სოციალიზაციაზე.

მარტოობის ქცევითი გამოვლინებები	მცირე ასაკში ეს მდგომარეობა ხშირად მარტო თამაშით, კომუნიკაციის თავიდან არიდებით და ხშირი ტირილის ეპიზოდებით ვლინდება.
განსაკუთრებით მძიმე შემთხვევები	როდესაც ემიგრაციაში ორივე მშობელია, ბავშვები შეიძლება სრულად ჩაიკეტონ, შეწყვიტონ საუბარი ან უარი თქვან საგანმანათლებლო დაწესებულებაში სიარულზე.

ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ბავშვი აღმზრდელებს სახლიდან გაეპარა და რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ პოულობდნენ. აღმოჩნდა, რომ ბავშვი თავისი სათამაშოებით განმარტოებული იჯდა და როდესაც ქცევის ახსნა სთხოვეს, ერთადერთი რამ უპასუხა „მე დედა მაინც არ დამიძახებდა“.

“	მიგრანტი მშობლის შვილის მეურვე	*„ცოტა უჭირთ, მაგალითად რამე შენიშვნის მიღება... ბუტიაობა აქვთ ძალიან... ეს სტრესი მერე ფიზიკურ ტკივილში გადასდის“*

განსაკუთრებით მწვავდება სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, როდესაც დაწესებულებაში ტარდება ღონისძიება მშობლების ჩართულობით, მაგალითად მშობელთა კრება, ზეიმი, თუ სხვა. ასეთი დროს ბავშვები განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან მშობლების არყოფნას.

2.2. მშობლის ემიგრაციის გავლენა ბავშვის განათლებაზე

მიგრაციის შედეგად ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ყოველთვის არ ითარგმნება ბავშვების საგანმანათლებლო კეთილდღეობაში. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი გზავნილები ზრდის განათლებაზე ხელმისაწვდომობას, ტრანსნაციონალური ოჯახების პირობებში წარმოიქმნება სოციალური და ფსიქო-ემოციური ფაქტორების კომპლექსი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების საგანმანათლებლო პროცესზე.



კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა აკადემიური მოტივაციის ორმაგი ბუნება. ზოგიერთი ბავშვისთვის სწავლა მშობლის ემიგრაციით გაღებული მსხვერპლის გამართლებად და მორალურ ვალდებულებად იქცევა. ბავშვები აკადემიურ წარმატებას უკავშირებენ სურვილს გაამართლონ მშობლის გადაწყვეტილება და გაახარონ შორს მყოფი მშობელი.

თუმცა პედაგოგთა გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი მოტივაცია ყოველთვის ვერ გადაიქცევა მდგრად აკადემიურ შედეგებად. მშობლის ყოველდღიური ჩართულობისა და კონტროლის ნაკლებობა ხშირად იწვევს აკადემიური მოსწრების ხშირად მკვეთრ დაქვეითებასაც კი.

რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ შემთხვევების უმრავლესობაში (60%) მიგრანტი მშობლების შვილები საგანმანათლებლო პროცესში თანატოლების მსგავს გამოწვევებს აწყდებიან. თუმცა 10%-ში აღნიშნული სირთულეები უფრო მაღალია, ხოლო 13%-ში შედარებით ნაკლებია. დაახლოებით 18%-ში აღმზრდელებს გაუჭირდათ მსგავსი გამოწვევების შეფასება.

ყველაზე ხშირად გამოვლენილი პრობლემებია:

- ყურადღებისა და კონცენტრაციის დეფიციტი (40%)
- განმავითარებელ აქტივობებში ნაკლები ჩართულობა (22%)

თვისებრივი მონაცემები ადასტურებს, რომ მშობლის ემიგრაციით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესი ხშირად აისახება ბავშვების ყურადღებასა და მოტივაციაზე. ემოციური სტრესი, მონატრება და მუდმივი ფიქრი მშობლის მდგომარეობაზე ხელს უშლის ბავშვებს სრულად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

პედაგოგთა დაკვირვებით, მშობლის ემიგრაცია ხშირად იწვევს ქცევით ცვლილებებსაც, რაც საბოლოოდ აისახება აკადემიურ შედეგებზე. ბავშვების ნაწილში მცირდება სწავლებისადმი ინტერესი, ირღვევა დისციპლინა და იზრდება გაკვეთილებზე მოუმზადებლობის შემთხვევები.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა საბაზო საფეხურზე, სადაც ბავშვებს მეტი მხარდაჭერა და კონტროლი სჭირდებათ. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში მშობლის ემიგრაცია ზრდის საგანმანათლებლო პროცესიდან ნაწილობრივი ან სრული გამოთიშვის რისკს. ეს შეიძლება გამოიხატოს ბაღში ან სკოლაში სიარულზე უარის თქმით, რაც ხშირად დაკავშირებულია:

- ემოციურ სტრესთან და ტრავმასთან
- მშობლის გადაწყვეტილების მიმართ პროტესტთან
- თანატოლების მხრიდან ბულინგთან
- ოჯახში დაკისრებულ დამატებით პასუხისმგებლობებთან

2.3. კანონთან კონფლიქტში მოხვედრის რისკი

გაეროს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის **რიადის პრინციპების** მიხედვით, მშობლის ემიგრაცია მოზარდებისთვის დელინქვენტური ქცევის ერთ-ერთ რისკფაქტორად განიხილება. გენერალური პროკურატურის მონაცემები აჩვენებს, რომ ბოლო

წლებში **განრიდებული არასრულწლოვანების დაახლოებით მეხუთედი ემიგრანტი მშობლების შვილია**:

წელი	განრიდებული არასრულწლოვნების რაოდენობა	ემიგრანტი მშობლების შვილები (ჯამში)	პროცენტულად
2021	363	69	19%
2022	585	124	21%
2023	544	108	20%

*ამასთან, სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, **2024-2025 წელს** მათ საქმისწარმოებაში იყო რამდენიმე საქმე, რომელიც ემიგრაციაში მყოფი ან დაბრუნებული მშობლების შვილებს შეეხებოდა და დაკავშირებული იყო ბავშვის სოციალური უფლებების, ძალადობის, ფსიქოლოგიური ზეგავლენისა და უგულებელყოფის საკითხებთან.*

2.4. მშობლის ემიგრაციის შედეგად ბავშვის მიერ ასაკისა და განვითარების დონის შეუსაბამო პასუხისმგებლობების აღება (გამშობლება)

ორივე კვლევა აჩვენებს, რომ მშობლის ემიგრაცია ხშირად იწვევს ბავშვების მიერ ასაკისთვის შეუფერებელი პასუხისმგებლობების აღებას. ბავშვები ნაადრევად იღებენ ზრდასრულის ფუნქციებს და ოჯახის შიგნით მშობლის როლის ნაწილობრივ შესრულებას იწყებენ. განვითარების ფსიქოლოგიაში ეს ფენომენი ცნობილია როგორც **„გამშობლება“ (parentification)**. განსაკუთრებით უფროსი და-ძმები ხშირად იღებენ ოჯახის შიგნით მეურვის როლს. ისინი ზრუნავენ უმცროს და-ძმაზე, ასრულებენ საოჯახო საქმეებს და ცდილობენ ოჯახის წევრების ემოციური მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

“	**მოზარდი, 16 წლის**	*„ჩემი და-ძმის მიმართ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გამიჩნდა... მათზე მშობელივით ვზრუნავ“*

კვლევაში გამოიკვეთა **ინსტრუმენტალური** **და** **ემოციური გამშობლების** შემთხვევები. ბავშვებს უწევთ როგორც საოჯახო საქმეების შესრულება და უმცროს და-ძმაზე ზრუნვა, ისე ოჯახის წევრების ემოციური მხარდაჭერის პასუხისმგებლობის აღება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ხშირია გოგოებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ემიგრაციაში დედა იმყოფება.

კვლევა ასევე აჩვენებს, რომ გაზრდილი პასუხისმგებლობები ხშირად ზღუდავს ბავშვების საგანმანათლებლო პროცესსა და განმავითარებელ აქტივობებში სრულფასოვან ჩართულობას. ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვები ვერ ახერხებენ რეგულარულად სკოლაში სიარულს ან სკოლის შემდეგ აქტივობებში მონაწილეობას. შედეგად, „გამშობლება“ იქცევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასა და საგანმანათლებლო განვითარებაზე.

2.5. მშობლის ემიგრაციის გავლენა ოჯახური ურთიერთობების ტრანსფორმაცია

- მშობლის ემიგრაცია მნიშვნელოვნად ცვლის ოჯახის სტრუქტურასა და როლებს.
- ბავშვზე ყოველდღიური ზრუნვა ხშირად გადადის ბებია-ბაბუებზე ან სხვა ახლო ნათესავებზე, რომლებიც ცდილობენ როგორც ყოფითი საკითხების მოგვარებას, ისე მშობლის არყოფნით წარმოქმნილი ემოციური სიცარიელის შევსებას.
- ამის შედეგად მეურვეები ხშირად აღმოჩნდებიან ფსიქოლოგიური და ფიზიკური გადატვირთვის მდგომარეობაში.
- მშობლები იშვიათად განიხილავენ ბავშვებთან მეურვეობის საკითხს და გადაწყვეტილებები ძირითადად ერთპიროვნულად მიიღება.
- ბავშვები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ ნაცნობ გარემოში დარჩენას, რადგან გარემოს ცვლილება მშობელთან განშორებასთან ერთად დამატებით სტრესს ქმნის.
- მეურვეებს უწევთ ბალანსის დაცვა ემოციურ მხარდაჭერასა და დისციპლინის უზრუნველყოფას შორის.
- მასწავლებლების დაკვირვებით, მეურვეები ხშირად ერიდებიან სიმკაცრეს, რათა არ გაამწვავონ ბავშვის ემოციური მდგომარეობა, რაც ზოგჯერ დისციპლინისა და ყოველდღიური რუტინის ჩამოყალიბებას ართულებს.
- ოჯახური ურთიერთობები დიდწილად დამოკიდებულია ტრანსნაციონალურ კომუნიკაციაზე.

“	ზრუნველი	*„მთელი პასუხისმგებლობა ანუ დედ-მამის როლი... მთლიანად გადმომეგარა მე. ძალიან რთულია“*

ენდერული განაწილება ზრუნვაში

კვლევები ასევე საუბრობს დედის ემიგრაციის კრიტიკულ გავლენაზე ბავშვზე ზრუნვის სისტემაზე, განსაკუთრებით საქართველოს მსგავს ქვეყნებში, სადაც ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა, დიდწილად, დედებს აქვთ აღებული. წინამდებარე კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ მიგნებებს.

- მამის ემიგრაციის შემთხვევაში — **დედა** იღებს სრულ პასუხისმგებლობას.
- დედის ემიგრაციის შემთხვევაში — ძირითადად **ბებია** ან სხვა **ქალი ნათესავი** ზრუნავს.
- საზოგადოებაში არსებობს **დაბალი მოლოდინი მამების მზრუნველობითი ჩართულობის** მიმართ. მაგალითად:
- *„ბავშვები დედაჩემთან დავტოვე, ჩემი ქმარი კი იყო, თუმცა ქალი ბავშვებთან აუცილებელია იყოს“*
- ბავშვები ხშირად **ბებიას** ასახელებენ, როგორც ყველაზე სანდო, მზრუნველ და ემოციურად მნიშვნელოვან ფიგურას.

3. ბავშვის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

კვლევა აჩვენებს, რომ ბავშვები იშვიათად მონაწილეობენ მშობლის ემიგრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხშირად მშობლის გამგზავრების შესახებ მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე ან უკვე გამგზავრების შემდეგ იგებენ. ასეთ შემთხვევებში განშორება ბავშვებისთვის განსაკუთრებით მძიმე და ზოგჯერ შოკისმომგვრელიც ხდება,ჩნდება მიტოვებულობისა და დაუცველობის განცდა.

ბავშვების რეაქცია მშობლის ემიგრაციაზე ხშირად გამოიხატება ძლიერი სევდით, მონატრებით, ბრაზითა და სასოწარკვეთით. ისინი ცდილობენ მშობლებს გადაწყვეტილება გადააფიქრებინონ, ზოგჯერ კი საკუთარ სურვილებსა და საჭიროებებზე უარის თქმასაც მზად არიან, ოღონდ მშობლებმა არ დატოვონ. დროთა განმავლობაში ბავშვების ემოციური რეაქციები შეიძლება შეიცვალოს. თავდაპირველ სევდასა და ბრაზს ზოგჯერ მშობლის მსხვერპლის გააზრება და მისი იდეალიზება ანაცვლებს, რაც ბავშვებისთვის ტრავმულ გამოცდილებასთან გამკლავების ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ მექანიზმად იქცევა. ამასთან, ბავშვებში ხშირად ჩნდება დანაშაულის გრძნობა და პასუხისმგებლობის ძლიერი განცდა, რის გამოც ისინი ცდილობენ საკუთარი ემოციების დამალვას, რათა ემიგრაციაში მყოფ მშობლებს დამატებითი სტრესი არ შეუქმნან.

> *ეს ჩემთვის თითქოს ბომბის აფეთქებას ჰგავდა. დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ვერავისთან ვლაპარაკობდი ამაზე და ძალიან თავდაცვითი და აგრესიული ვიყავი ყველაფრის მიმართ, რაც ამ თემას ეხებოდა. ეს ისეთი საკითხია, რომელზეც საუბარი ჩემთვის ძალიან რთულია. დედა არის ის ადამიანი, ვისთანაც ყველაზე მეტად ხარ მიჯაჭვული და მის გარეშე ყველაფერი თითქოს ინგრევა. როდესაც ასეთი ადამიანი შენგან შორს არის და სხვაგან მიდის, გიჩნდება განცდა, რომ თითქოს ყველაფერი შეწყდა. შეიძლება ფიქრობ, რომ შეეგუე და დრო გავიდა, მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა იმ მომენტს იხსენებ, თითქოს ისევ იქ ბრუნდები და ემოცია ორმაგი სიმძაფრით გიბრუნდება.“*
>
> **მიგრანტი მშობლის შვილი, გოგო, 16 წლის**

4. მიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერის სისტემაში არსებული ძირითადი გამოწვევები

პოლიტიკისა და სტატისტიკური მონაცემების არარსებობა

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სისტემურ გამოწვევად სახელდება მიგრანტი მშობლების შვილებთან დაკავშირებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და სანდო

სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა. ქვეყანაში არ არსებობს კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტი ან პროგრამა, რომელიც მიზანმიმართულად შეეხება სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებებს. ამასთან, არ ხდება მათი სისტემური აღრიცხვა, რის გამოც რთულია პრობლემის მასშტაბის შეფასება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვა. სტატისტიკური მონაცემებისა და კოორდინირებული პოლიტიკის არარსებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიან განვითარებას როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე.

ინტერვიუების მიხედვით კი , თითქმის ყველა პედაგოგი აღნიშნავს, რომ ემიგრანტი მშობლის შვილები პრაქტიკულად ყველა კლასში გვხვდება: *„კლასი არ არის, რომ ბავშვი არ მყავდეს ემიგრანტი მშობლის“.*

საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ძირითადი გამოწვევები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ემიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერის კუთხით საგანმანათლებლო სისტემაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა იკვეთება:

- **დაბალი მგრძნობელობა და სტიგმა** - ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლები და აღმზრდელები ვერ აცნობიერებენ მშობლის ემიგრაციით გამოწვეულ ფსიქოემოციურ სირთულეებს. ბავშვები ხშირად აღიქმებიან როგორც „განებივრებული“ ან „უპატრონო“, რაც სტიგმას და დამატებით ფსიქოლოგიურ ზეწოლას ქმნის.-
- **არაეთიკური ქცევა და უფლებების დარღვევა** - გამოვლინდა შემთხვევები, რომლებიც მოიცავს არაეთიკურ კომუნიკაციას, ბულინგის უგულებელყოფას, სიტყვიერ შეურაცხყოფას და ზოგჯერ ფიზიკურ ძალადობას. ხშირია პასუხისმგებლობის მთლიანად ოჯახზე გადატანაც;
- **პერსონალის კომპეტენციების დეფიციტი** - მასწავლებლებსა და აღმზრდელებს ხშირად არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული ინსტრუმენტები მშობლის ემიგრაციით გამოწვეული ემოციური სირთულეების მქონე ბავშვებთან მუშაობისთვის, რის გამოც რეაგირება ხშირად ინტუიციურია.
- **სისტემური მიდგომების ნაკლებობა/"ინსტიტუციური სიბრმავე“** - საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ აქვთ ერთიანი გზამკვლევები ან პროტოკოლები, რომლებიც განსაზღვრავდა სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მხარდაჭერის სტანდარტებს. ინტერვიუებმა გამოავლინა მკვეთრი დიფერენციაცია საჯარო და კერძო სკოლების მიდგომებს შორის. ეს დიფერენციაცია მიუთითებს **ინსტიტუციურ „სიბრმავეზე“**, სადაც სახელმწიფო სისტემა ვერ ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, რაც პედაგოგებს აიძულებს, ყოველდღიურ რეჟიმში ინტუიციურად შეითავსონ თერაპევტის როლი.
- **ფსიქოლოგიური მომსახურების დაბალი ხელმისაწვდომობა** - ბევრ რეგიონში კვალიფიციური ფსიქოლოგი არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო საზოგადოებაში ფსიქოლოგთან მიმართვის მიმართ კვლავ არსებობს ნეგატიური დამოკიდებულება;

- **რეფერირების მექანიზმის არასაკმრისი გამოყენება** - მიუხედავად ფორმალური არსებობისა, მექანიზმი პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება, აკლია მონიტორინგი და კოორდინაცია.

ოჯახში არსებული გამოწვევები

- **ფინანსური არასტაბილურობა და ფინანსური წიგნიერების დეფიციტი** — მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში მყოფი მშობლების მიერ გამოგზავნილი თანხა ხშირად აუმჯობესებს ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას, კვლევამ გამოავლინა ოჯახების ფინანსური არასტაბილურობა და ფინანსური რესურსების მართვის ცოდნის ნაკლებობა. კვლევამ უარყო სტერეოტიპი, რომ ემიგრანტის ოჯახი ყოველთვის ფინანსურად უზრუნველყოფილია. ხშირად გზავნილები არარეგულარულია, ხოლო ხარჯები (კერძო სკოლა, რეპეტიტორები, ჯანმრთელობა) აღემატება მიღებულ თანხას.
- **მეურვეების გაზრდილი პასუხისმგებლობა** — მშობლის არყოფნის პირობებში ბავშვების აღზრდაში მთავარ როლს იღებენ მეურვეები, რომელთაც ხშირად უწევთ ერთდროულად რამდენიმე პასუხისმგებლობის შესრულება, რაც ქმნის დამატებით ფსიქოლოგიურ და პრაქტიკულ დატვირთვას.
- **ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობა** — მეურვეები ხშირად აღნიშნავენ, რომ სოციალური სერვისებისა და სხვა მხარდამჭერი მექანიზმების ჩართულობა არასაკმარისია.
- **აღზრდის სტილის განსხვავება** — ემიგრაციაში მყოფ მშობლებსა და ყოველდღიურად ბავშვებთან მცხოვრებ მეურვეებს შორის ხშირად არსებობს განსხვავებული ღირებულებები და აღზრდის მიდგომები.
- **ოჯახური კომუნიკაციის სირთულეები** — აღნიშნული განსხვავებები ხშირად იწვევს გაუგებრობებს ოჯახში და დამატებით სირთულეებს ბავშვის აღზრდის პროცესში.

გამოწვევები სოციალური დაცვისა და ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში

- **სოციალური სერვისების დაბალი ხელმისაწვდომობა** — მეურვეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის სერვისები პრაქტიკულად არ არსებობს ან მათი გამოყენება ძალიან შეზღუდულია.
- **ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის პრობლემა** — რესპონდენტების შეფასებით, საყოველთაო დაზღვევა ხშირად ვერ უზრუნველყოფს საჭირო მომსახურებას, რის გამოც ოჯახებს უწევთ კერძო კლინიკების ძვირადღირებულ მომსახურებაზე დამოკიდებულება.
- **ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეფიციტი** — განსაკუთრებით მწვავედ დგას ბავშვებისთვის პროფესიონალი ფსიქოლოგის მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხი როგორც სკოლებში, ისე სხვა ინსტიტუციებში.

- **ბიუროკრატიული ბარიერები სოციალურ დახმარებაში** — სოციალური დახმარების მიღება ხშირად რთულ ადმინისტრაციულ პროცედურებს უკავშირდება, რაც ამცირებს მისი გამოყენების ეფექტიანობას.
- **ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკები** — რესპონდენტების შეფასებით, მხარდაჭერის მექანიზმების სისუსტე ზრდის ბავშვთა მოწყვლადობას და ართულებს ძალადობის შემთხვევების დროულ იდენტიფიცირებასა და რეაგირებას.
- **არაფორმალური მხარდაჭერის ალტერნატიული სივრცეები** — არაფერომალური განათლებისა და ჰობი-დასვენების სერვისები ბავშვებისთვის არ არის ხელმისაწვდომი, როგორც ფიზიკურად არ არსებობის გამო, ისე სერვისის ღირებულების გამო.

მუნიციპალურ დონეზე არსებული გამოწვევები

- **ადგილობრივი რეაგირების სისუსტე** —მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი სამსახურები ხშირად სათანადოდ არ რეაგირებენბავშვთა უფლებების დარღვევის შემთხვევებზე, მათ შორის ისეთ მძიმე ბრალდებებზეც, როგორიც არის ფიზიკური ძალადობა.
- **მონაცემებისა და მიზნობრივი პოლიტიკის არარსებობა** — მუნიციპალიტეტების დონეზე არ არსებობს სისტემური აღრიცხვა ან სპეციალური მექანიზმები, რომლებიც მიგრანტი მშობლების შვილების საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი სერვისების დაგეგმვას უზრუნველყოფს.
- **მუნიციპალური მოხელეების კომპეტენციების დეფიციტი** — მუნიციპალიტეტის ბავსვის უფლებათა დაცვაზე პასუხისმგებელი პროფესიონალები არ ფლობენ შესაბამის კომპეტენციებს მიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერისთვის.
- **სუსტი კოორდინაცია ადგილობრივ ინსტიტუტებს შორის** — მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს სოციალური მომსახურების და ბავშვთა უფლებების დაცვის სტრუქტურები, მათ შორის თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ხშირად არასაკმარისია.
- **მუნიციპალური პროგრამების შეზღუდული ფოკუსი** — არსებული პროგრამები ძირითადად მიმართულია ეკონომიკურად მოწყვლად ოჯახებზე, რის შედეგადაც მიგრანტი მშობლების შვილები, რომლებიც ფინანსურად შედარებით უზრუნველყოფილნი არიან, ხშირად ყურადღების მიღმა რჩებიან.
- **ახალგაზრდული და ფსიქოსოციალური სერვისების ნაკლებობა** — რესპონდენტები აღნიშნავენ კულტურული, სპორტული და შემოქმედებითი აქტივობების განვითარებული მუნიციპალური პროგრამების საჭიროებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვების სოციალურ ჩართულობას და ფსიქოსოციალურ კეთილდღეობას.

რეკომენდაციები

I. ბავშვზე ორიენტირებული და სექტორთა შორის კოორდინირებული მხარდაჭერის სისტემა

კვლევის მიგნებები აჩვენებს, რომ მიგრაციის კონტექსტში ბავშვთა მხარდაჭერა უნდა ეფუძნებოდეს ეკოსისტემურ მიდგომას, სადაც შესაბამისი პასუხისმგებლობები თანაბრად ნაწილდება სახელმწიფოს, მუნიციპალური სერვისებს, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ოჯახის მხარდამჭერ ქსელების შორის.

ამ კონტექსტში რეკომენდაციები უნდა დაეფუძნოს ორ საკვანძო ამოცანას.

პირველი - სტატისტიკური მონაცემების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც იძლევა ბავშვების საჭიროებების ადრეული ამოცნობისა და მხარდაჭერის მიზნობრივი დაგეგმვის საშუალებას.

მეორე - სექტორთაშორისი კოორდინაციის ინსტიტუციური გამყარება როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე, რათა პასუხისმგებლობები იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და დახმარება არ ეფუძნებოდეს მხოლოდ სკოლებისა და პროფესიონალების ინტუიციას.

II. სახელმწიფო დონე: მონაცემზე დაფუძნებული პოლიტიკა და სექტორთა შორის კოორდინაციით მართვა

- ორივე კვლევა ცხადყოფს, რომ ერთ-ერთი ძირითადი ბარიერი არის მიგრანტი მშობლების შვილებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების არარსებობა. როდესაც სისტემა არ ფლობს გაანალიზებად მონაცემს, შეუძლებელი ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვისთვის და რესურსების სამართლიანი განაწილებისთვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შეიქმნას სტატისტიკური მონაცემების სისტემური შეგროვების მექანიზმები, რომლებიც ინტეგრირებული იქნება EMIS (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) ელექტრონულ პლატფორმაში ეთიკური პრინციპების (არამასტიგმატიზებელი) და კონფიდენციალურობის დაცვით.
- ამ ტიპის მონაცემი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მხარდაჭერის დაგეგმვისთვის და არ უნდა ქმნიდეს ადმინისტრაციულ ან სოციალური ნიშნით გამიჯვნის საფრთხეს.
- მონაცემის სისტემის შექმნა ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, თუ მას თან ახლავს **სექტორთაშორისი კოორდინაციის ფორმალიზებული ჩარჩო.** ორივე კვლევაში ჩანს, რომ სკოლა ხშირად ხდება ერთადერთი საკონტაქტო სივრცე, ხოლო მეურვეები და პედაგოგები თავს „სისტემის მიღმა“ დარჩენილად აღიქვამენ.
- ამ გამოწვევის საპასუხოდ საჭიროა განათლების, სოციალური დაცვისა და საჭიროების შემთხვევაში, ჯანდაცვის სერვისების კოორდინირებული მოქმედება. შესაბამისად, მიზანშეწონილია **ცენტრალურ დონეზე შემუშავდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სხვასხვა სამსახურების მიერ მონაცემთა რეგულირებული მიზნობრივ გაზიარების და დამუშავებას**. ასეთი ჩარჩოს გარეშე, მონაცემი რჩება სტატისტიკად და ვერ გარდაიქმნება მხარდაჭერის დაგეგმვის საფუძვლად.
- საჭიროა პოლიტიკის დოკუმენტების გადახედვა, რათა შემდგომ მიზნობრივ პროგრამებსა და სერვისებში სისტემურად აისახოს მიგრანტი მშობლების შვილების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები.

- საგულისხმოა ციკლური მიგრაციის შემთხვევებიც, განსაკუთრებით იმ ოჯახებთან მიმართებით, სადაც მშობელი პერიოდულად ბრუნდება და კვლავ მიდის. კვლევაში ეს კონტექსტი აღწერილია როგორც ემოციური რყევების და ადაპტაციის სირთულეების წყარო. ამდენად, მიზანშეწონილია ცალკე მიმართულებად განიხილებოდეს ციკლური მიგრაციის მქონე ოჯახებისთვის მხარდაჭერის მოდელი, რომელიც გააძლიერებს დაბრუნებისა და გამგზავრების პერიოდებში ბავშვისა და მეურვის მხარდაჭერას და საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმებულ რეაგირებას.

III. მუნიციპალურ დონეზე - ოჯახების მხარდაჭერა და შემთხვევის მართვა

- გაძლიერდეს **მუნიციპალური სოციალური სერვისების ფუნქციები**, რათა მათ შეძლონ ოჯახური გარემოს მონიტორინგი და მხარდაჭერის შეთავაზება იმ ბავშვებისთვის, რომელთა მშობლები ემიგრაციაში იმყოფებიან.
- დაინერგოს **შემთხვევის მართვის მოდელი**, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის, სოციალური სამსახურისა და სხვა სერვისების კოორდინირებულ მუშაობას. ეს ხელს შეუწყობს მეურვეებისა და ოჯახების მხარდაჭერას, პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას და ბავშვის საჭიროებების სისტემურ მონიტორინგს, განსაკუთრებით ციკლური მიგრაციის პირობებში.
- განვითარდეს **დღის ცენტრები და სკოლისშემდგომი პროგრამები**, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვებისთვის აკადემიურ, სოციალურ და ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას. მუნიციპალურ და სასკოლო გარემოს დონეზე ასევე საჭიროა ისეთი სერვისების განვითარება, რომლებიც ერთდროულად პასუხობს ბავშვის სოციალურ ინტეგრაციას და მეურვის დატვირთვის შემცირებას. დღის ცენტრები და სკოლის შემდგომი სივრცეები ამ მხრივ ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმია, რადგან ისინი აერთიანებს აკადემიურ მხარდაჭერას, სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებას, თავისუფალი დროის სტრუქტურირებულ მიზნობრივ გატარებას და ემოციური მხარდაჭერის ელემენტებს. მსგავსი სივრცეები ამცირებს იზოლაციის რისკს და ქმნის უსაფრთხო გარემოს, სადაც ბავშვი იღებს თანატოლებთან სოციალიზაციის შესაძლებლობას და ზრდასრულთა მხრიდან მხარდაჭერას.

IV. საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე

- **საგანმანათლებლო პერსონალისთვის სპეციალური გზამკვლევები** (აღნიშნული გზამკვლევი შემუშავებულია კივიტას გეორგიკას მიერ) რომლებიც განსაზღვრავს ერთიან სტანდარტებს მიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერისთვის.
- განხორციელდეს **პედაგოგთა გადამზადება ტრავასენსიტიურ და არამასტიგმატიზებელ მიდგომებში**, რათა მათ შეძლონ ემოციური სირთულეების ადრეული ამოცნობა.
- გაძლიერდეს **სკოლებში ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები**, მათ შორის, ჯგუფური ფორმატები მსგავსი გამოცდილების მქონე ბავშვებისთვის.

- დაინერგოს **რეფერირების ეფექტიანი მექანიზმები**, რომლებიც უზრუნველყოფს ძალადობის ან ფსიქო-სოციალური პრობლემების დროულ იდენტიფიცირებას და შესაბამის სერვისებში გადამისამართებას.
- შეიქმნას და წახალისდეს **კლასგარეშე აქტივობების მხარდამჭერი პროგრამები**, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვების სოციალურ ჩართულობასა და ემოციურ კეთილდღეობას.

V. ოჯახისა და ემიგრაციაში მყოფი მშობლების დონეზე - კავშირების გაძლიერება და მომზადება

- ემიგრაციის გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანია **ბავშვთან წინასწარი კომუნიკაცია**, რათა მას გასაგებად მიეწოდოს ინფორმაცია მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.
- აუცილებელია **მზრუნველის შერჩევა ბავშვის ემოციური კეთილდღეობის გათვალისწინებით** და აღზრდის პრინციპებზე წინასწარი შეთანხმება.
- მშობლის ემიგრაციამდე მნიშვნელოვანია **საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მეურვეობის იურიდიული განსაზღვრა**, რათა ბავშვმა შეუფერხებლად მიიღოს საჭირო სერვისები.
- ემიგრაციის პერიოდში მნიშვნელოვანია **მშობლის რეგულარული და ხარისხიანი კომუნიკაცია ბავშვთან**, რომელიც ყურადღებას მიაქცევს არა მხოლოდ მატერიალურ მხარდაჭერას, არამედ ემოციურ კავშირსაც.

2024-2026 წლის შედეგები და გაკვეთილები

2024–2026 წლებში GIZ-ის მხარდაჭერით განხორციელებულმა ინიციატივამ შექმნა პრაქტიკული და ცოდნაზე დაფუძნებული რესურსები მიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერისთვის საქართველოში. ორი მასშტაბური კვლევის პარალელურად შემუშავდა **სამი პროფესიული სახელმძღვანელო:**

- **პროტოკოლი საბავშვო ბაღებისთვის** – პრაქტიკული გზამკვლევი, რომელიც აღწერს როგორ უნდა მოხდეს მიგრანტი მშობლების შვილების იდენტიფიცირება, მხარდაჭერა და მათი საჭიროებების გათვალისწინება ყოველდღიურ საგანმანათლებლო პროცესში.
- **პროტოკოლი სკოლებისა და მასწავლებლებისთვის** – ინსტრუმენტებისა და რეკომენდაციების ნაკრები, რომელიც ეხმარება სკოლებსა და პედაგოგებს მიგრანტი მშობლების შვილების საჭიროებების უკეთ გააზრებასა და მათ მხარდასაჭერად შესაბამისი საგანმანათლებლო პრაქტიკის დანერგვაში.
- **სახელმძღვანელო ფსიქოლოგებისთვის** – პროფესიული რესურსი, რომელიც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტებსა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს მიგრანტი მშობლების შვილების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერისთვის.

პარალელურად, შემუშავდა ტრენინგ-მოდულები პროფესიონალებისთვის – სასწავლო მოდულები სოციალური მუშაკებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, მასწავლებლებისთვის და სკოლამდელი განათლების სპეციალისტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს მათი პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას და მიგრანტი მშობლების შვილებთან ეფექტიანი მუშაობის მხარდაჭერას.

სოციალური მუშაკებისა და სერვის პროვაიდერების ტრენინგი

ტრენინგ მოდულები ჩატარდა:

- სათემო ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკებისთვის - 3 ოთხდღიანი ტრენინგი - 71 მონაწილე;
- სკოლის მასწავლებლები - 2 სამდღიანი ტრენინგი - 38 მონაწილე;
- ფსიქოლოგებისთვის ტრენინგი - 21 მონაწილე;

2025 წლის ნოემბერი, პირველი ერივნული კონფერენცია

გაიმართა **პირველი ეროვნული კონფერენცია მიგრანტი მშობლების შვილების მხარდასაჭერად**, რომელმაც გააერთიანა ბავშვთა დაცვისა და მიგრაციის სფეროში მომუშავე სპეციალისტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მათ შორის სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, მასწავლებლები, ბაღის აღმზრდელები, ახალგაზრდული მუშაკები და აკადემიური სექტორის წარმომადგენლები. კონფერენცია იქცა პროფესიული დიალოგისა და პოლიტიკის განვითარების მნიშვნელოვან პლატფორმად.

რეპლიკაციის შედეგებს, მონაწილეთა უკუკავშირსა და გამოცდილებებს სოციალური ქსელის საშუალებით ვუზიარებდით საზოგადოებას.

საკონსულტაციო საბჭო – შეიქმნა მრავალსექტორული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური სფეროსა და პრაქტიკოსი სპეციალისტების წარმომადგენლებს. საბჭო უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობის კოორდინაციას, ცოდნის გაზიარებას და რეკომენდაციების შემუშავებას მიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერის პოლიტიკისა და პრაქტიკის გასაძლიერებლად. საკონსულტაციო საბჭოში ორი წლის განმავლობაში წევრის სტატუსით კივიტასის გუნდთან ერთად **32-მა** პროფესიონალმა იმუშავა.

იელდა ორი ტრენერების ტრენინგის (ToT) პროგრამა, 40 სკოლამდელი განათლების სპეციალისტმა (პირველ ფაზაში – 24, მეორე ფაზაში – 16 მონაწილე). ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა განახორციელეს მუნიციპალური რეპლიკაციის აქტივობები, რომლის შედეგადაც ცოდნა გავრცელდა სხვადასხვა რეგიონში. პირველ ფაზაში ჩატარდა 24 შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 71 საბავშვო ბაღის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტებიდან: მარნეული, თიანეთი, ოზურგეთი, თელავი, ტყიბული, გორი, ქობულეთი, ბათუმი და ახალციხე, ხოლო მეორე ფაზაში ჩატარებული 21 მუნიციპალური შეხვედრისა და ვორქშოფის ფარგლებში დამატებით 363 პრაქტიკოსი გადამზადდა და ცოდნის გავრცელება მოხდა 54 საბავშვო ბაღში (დუშეთი, ბოლნისი, ტყიბული, საგარეჯო, ქარელი, თბილისი, საჩხერე, ლანჩხუთი, ქუთაისი, მარნეული, ბაღდათი და ყვარელი).



ტრენინგის მონაწილე მასწავლებელთა წერილები თავიანთი მოსწავლე მიგრანტი მშობლების შვილებს

საერთო ჯამში, პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა ტრენინგებმა და რეპლიკაციის აქტივობებმა მოიცვა 600-ზე მეტი სკოლამდელი განათლების პრაქტიკოსი, 21 მუნიციპალიტეტი და 133 საბავშვო ბაღის სპეციალისტი დაფარა.

მიგრანტი მშობლების შვილების თემაზე 3 ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა კივიტასის წარმომადგენლებმა.

ორი ფაზის ფარგლებში ორგანზიაციამ იმუშავა ადგილობრივი სათემო ორგანზიაციების მიგრანტი მშობლების შვილების თემაზე გაძლიერებისთვის 16 მუნიციპალიტეტის (ტყიბული, გორი, ოზურგეთი, თიანეთი, ბათუმი, ქობულეთი, ქუთაისი, თეთრიწყარო, მარნეული, თბილისი, საგარეჯო, ახალციხე, ბორჯომი, ხაშური, ლაგოდეხი და თელავი) სათემო ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

ფსიქოლოგიური კონსულტირების სერვისი

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის კომპონენტი, რომლის ფარგლებში სპეციალისტები გადამზადდნენ მიგრანტი მშობლების შვილებთან მუშაობის სპეციფიკაში. პროგრამა მოიცავდა პროფესიული სუპერვიზიის სისტემას, რაც უზრუნველყოფდა სპეციალისტების პრაქტიკული მუშაობის მხარდაჭერას და ხარისხის კონტროლს.

პროექტის ფარგლებში ფსიქოლოგიური კონსულტაცია გაეწია დაახლოებით 150 ბავშვს, მათ მეურვეებსა და ემიგრაციაში მყოფ მშობლებს. კონსულტირების პროცესში მიღებული გამოცდილება გამოყენებულ იქნა ქეის-სთადის ფორმატში, რაც დაეხმარა სპეციალისტებს პრაქტიკული ცოდნის გაზიარებასა და პროფესიული მიდგომების გაუმჯობესებაში. ყველა შემთხვევა წარმოდგენილია ანონიმურად და სრულად დაცულია უმაღლესი პროფესიული ეთიკისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ნორმები.

საინფორმაციო და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია

პროექტის ფარგლებში განხორციელდა მრავალფორმატიანი საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების გაზრდა მიგრანტი მშობლების შვილების საკითხზე. კამპანია მოიცავდა პოდკასტების სერიას „ასფურცელა ამბები“, რომელიც ეძღვნება ცნობილ ადამიანთა ბავშვობის ისტორიებს, მიგრანტი მშობლების შვილების გამოცდილებას და ამ თემაზე პროფესიონალებთან საუბარს. პოდკასტის მიზანია თემის ემოციური და სოციალური განზომილების წარმოჩენა და საზოგადოების ფართო ჩართვა საკითხის გააზრებაში.



„ასფურცელა ამბები“-ის მეორე ეპიზოდი, რეკორდული 318000 ნახვა.

კამპანია ასევე მოიცავდა სოციალურ ქსელებში მომზადებულ საინფორმაციო ქარდებსა და ინფოგრაფიკებს, ლაივ დისკუსიებს, ექსპერტებისა და პრაქტიკოსების მონაწილეობით.

ტელეკომპანია „ფორმულა“ მიგრანტი მშობლების შვილების საკითხზე სატელევიზიო ეთერი.

თემის ფართო გავრცელების მიზნით მომზადდა სტატიები ონლაინ მედიებისთვის, ხოლო პროექტისა და კვლევის შედეგები გაშუქდა ეროვნულ და ადგილობრივ ტელევიზიებში, სადაც გაიმართა სპეციალური ეთერები და ინტერვიუები. აღნიშნულმა აქტივობებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მიგრანტი მშობლების შვილების პრობლემების შესახებ საჯარო დისკუსიის გაძლიერებას.